დამტკიცებულია
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა თამარ მეფის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორის
#01/1/16,

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -
14.05.2021 ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება: საექთნო საქმე **0913.1.1 Nursing**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: საექთნო საქმის ბაკალავრი Bachelor of Nursing

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 242(ECTS) კრედიტი

პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული:
ბიოსამედიცინო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ჯანდაცვის ფაკულტეტი.
პროგრამის ხელმძღვანელი: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი წილოსანი, მედიცინის დოქტორი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი

სტუდენტმა მიიღოს მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა საექთნო საქმის თეორიაში, ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ცალკეული ინდივიდების, ოჯახების, მოსახლეობის ჯგუფების ან თემის ჯანმრთელობის აღდგენასა და შენარჩუნებაში, დაავადებათა პროფილაქტიკაში, ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთა და ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა/კლიენტთა მოვლაში, ასევე კლინიკური მედიცინის, პოპულაციური ჯანმრთელობის, ძირითადი პათოლოგიების, ადამიანის ინფექციების, საექთნო საქმის მენეჯმენტის შესახებ და მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ადექვატური ცოდნა და უნარები შესაბამისი ინსტიტუციონალური პოტენციალის შექმნისათვის; განავითაროს კლინიკური პრაქტიკის უნარ-ჩვევები და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და განახორციელოს თავისი პროფესიული საქმიანობა სხვადასხვა სამედიცინო და სოციალური სერვისების მიმწოდებელ ინსტიტუციებში (გადაუდებელი დახმარება, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, უროლოგია, პედიატრია, მეანობა, გერიატრია, გინეკოლოგია, ფსიქიატრია, გასტროენტეროლოგია, კარდიოლოგია, ონკოლოგია), ჰოსპისებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვა. შეიძინოს უნარები აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციების და ასევე ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებაში და ასევე შეძლოს დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობა და განუვითარდეს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართ მზადყოფნა; განავითაროს სოციალური კვლევის მეთოდოლოგიაზე შეძენილი ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა კლინიკურ კვლევებში მონაწილეობის, მონაცემთა შეგროვების და ანალიზის უნარი დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე მოსახლეობაში არსებულ ცვალებად საჭიროებებზე და მომავალ პრიორიტეტებზე ეფექტური რეაგირების და ადაპტირებისათვის;

ყოველივე ზემოთ აღნიშნული განაპირობებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საექთნო საქმის ბაკალავრის ჩამოყალიბებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც დადგენილი წესით ჩაირიცხება უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთიან სიაში.

საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები უნივერსიტეტის მიერ დადგენილი და სათანადოდ გამოცხადებული საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. უცხოეთის მოქალაქეები პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით საგნები, მათი პრიორიტეტულობა და კოეფიციენტები განისაზღვრება მოცემული პროგრამის შესწავლის დაწყებისათვის აუცილებელი ცოდნის დონით. საგნები და მათი კოეფიციენტები არაა მუდმივი, იცვლება პროგრამის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შესაბამისად და ქვეყნდება ყოველწლიურად, დადგენილი წესის მიხედვით.

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებისა და გამოცდების და უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.

სტუდენტის სწავლის შედეგი

ა) ცოდნა :

- ავლენს საექთნო საქმის ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, სფეროს მიმართ კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას, საექთნო საქმის პრაქტიკის უნარ-ჩვევების ცოდნას.
- ავლენს ადამიანის აგებულების, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, ზოგადი და კერძო პათოლოგიების ცოდნას და შეუძლია ამ ცოდნით მანიპულირება სხვადასხვა დაავადებების დროს.

- ავლენს გარემოს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ორგანიზმზე გავლენის და ეკოლოგიის საფუძვლების ცოდნას.
- ავლენს ლაბორატორიულ–ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარების, ინფექციის კონტროლის, მართვისა და პრევენციის ცოდნას, ასევე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა (ავადმყოფი, უნარშეზღუდული და ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტი) მოვლა–პატრონაჟს.
- ავლენს ჯანდაცვის ტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის ცოდნას, რაც შეუძლია სწორად გამოიყენოს საექთნო პრაქტიკაში, პაციენტის/კლიენტის მოვლასა და სხვადასხვა არასტანდარტულ სიტუაციებში.
- ავლენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის, მოსახლეობის განათლების და პაციენტის მოვლის საფუძვლების, სოციალური, ჯანდაცვისა და ქცევითი მეცნიერებების ცოდნას, რაც შეუძლია სწორად გამოიყენოს საექთნო პრაქტიკაში.
- ავლენს ძირითად სამკურნალწამლო საშუალებათა მოქმედების მექანიზმების ცოდნას.
- ავლენს პედიატრიული, გერიატრიული, ნევროლოგიური, ფსიქიატრიული და ონკოლოგიური პაციენტების დიაგნოსტიკის და მოვლის, ტრამვისა და სხვადასხვა დაავადებების შედეგად განვითარებული პათოლოგიების აღკვეთისა და გეგმაზომიერი რეაბილიტაციის მეთოდების ცოდნას, რაც შეუძლია გამოიყენოს პაციენტთა სარეაბილიტაციო პერიოდის მართვაში და პრაქტიკულ საქმიანობაში სამედიცინო მენეჯმენტის კუთხით.
- აცნობიერებს ექთნის პასუხისმგებლობას, როლსა და ფუნქციებს, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკას. სოციალური, ჯანდაცვისა და ქცევით მეცნიერებებს, რაც შეუძლია სწორად გამოიყენოს საექთნო პრაქტიკაში.
- აცნობიერებს შესწავლილი მეცნიერებების (პედიატრია, გერიატრია, თერაპია, ნევროლოგია, ბიოქიმია, ფსიქიატრია, ონკოლოგია და სხვა) საფუძვლებს და აქვს აღნიშნულ სფეროში ექთნისთვის შესაბამისი მანიპულაციების პრაქტიკულად შესრულების ცოდნა
- ავლენს ქართული და ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიების ცოდნას, ასევე სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიებს, პრინციპების და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარს
- ერკვევა ფსიქოლოგიაში, ჯანდაცვის სამართლებრივ საფუძვლებში, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების ცოდნაში
- ფლობს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარს

ბ) **უნარი:**

- შეუძლია აიღოს პროფესიული პასუხისმგებლობა და მოახდინოს .ფიზიკური უნარების სწორად გამოყენება პროცედურების (სიმარჯვე და სიზუსტე, რაც აუცილებელია სხვადასხვა საექთნო პროცედურებისა და მანიპულაციების (ინტრავენური ინექცია, კათეტერიზაცია, ნაკერების მოხსნა და სხვა მრავალი) განსახორციელებლად.
- შეუძლია განახორციელოს პაციენტის მოვლაზე პასუხიმგებლობა: პაციენტის შეფასება, მოვლის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.
- შეუძლია ქართული და ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის და სამედიცინო დოკუმენტაციის მნიშვნელობის განმარტება,
- შეუძლია პასუხიმგებლობა დაწესებულების/ინსტიტუციების წესების/მომსახურების განხორციელებაზე, მათ პოლიტიკისა და პროცედურების დაცვაზე, ფინანსურ და ფიზიკურ რესურსებზე და ასევე დოკუმენტაციის წარმოებაზე,
- შეუძლია განახორციელოს სფეროსათვის დამახასიათებელი კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად:
- შეუძლია პაციენტის ჯანმრთელობის ნორმისა და პათოლოგიის, დისტრესისა და უნარშეზღუდულობის ნიშნების ამოცნობა და ინტერპრეტაცია;
- შეუძლია საჭიროებისამებრ დაგეგმოს, განახორციელოს, შეაფასოს პაციენტის მოვლის სათანადო ინდივიდუალური პროგრამები, მათთან და მათი ოჯახის წევრებთან შეთანხმებით, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობით;
- უზრუნველყოფს სხვადასხვა ნოზოლოგიის პაციენტების დიფერენცირებას, მათ დიაგნოსტიკას და მოვლას;
- შეუძლია მედიკამენტების და სხვა სამკურნალო საშუალებების უსაფრთხო გამოყენება;
- შეუძლია სხვადასხვა დაავადებების გართულებებისა და რისკების ეფექტური შეფასება და შესაბამისი ქმედების განხორციელება;
- შეუძლია პაციენტისა და მისი მომვლელის, ასევე ოჯახის ინფორმირება, განათლება და ზედამხედველობა;

- შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან პაციენტებთან, მათ ოჯახებთან და სოციალურ ჯგუფებთან, მათ შორის კომუნიკაციის პრობლემის მქონე პირებთან;
- შეუძლია განხორციელებული საქმიანობების ანგარიშგება და დოკუმენტირება ტექნოლოგიების გამოყენებით
- შეუძლია კოლეგებთან შეთანხმებული და ეფექტური მუშაობა, გუნდის კოორდინირებული მართვა პაციენტის/კლიენტის ეფექტური და გააზრებული მოვლისა და მისი ინტერესების გათვალისწინებით
- იცავს პროფესიულ, ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს; უზრუნველყოფს პაციენტის/კლიეტის მოვლას უსაფრთხო გარემოში;
- შეუძლია კრიტიკული აზროვნება და აქვს თვითშეფასების და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევები;
- შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება და გადაწყვეტა არასტანდარტულ სიტუაციებში;
- შეუძლია სამუშაოს მართვა და ეფექტურად მუშაობა, მათ შორის დროის სწორი დაგეგმვა და მართვა.
- შეუძლია ინფექციის კონტროლისა და პრევენციის ღონისძიებების დაცვა და ზედამხედველობა

- შეუძლია სხვადასხვა კლინიკურ კვლევებში მონაწილეობა და ასევე განახორციელოს საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით. სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციისა და მონაცემების მოძიება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და სინთეზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, რომელსაც გამოიყენებს დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.
- შესწევს უნარი შეაგროვოს და ანალიზი გაუკეთოს ინფორმაციას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეფექტური საქმიანობის განსახორციელებლად;
- შეუძლია პრობლემების განსჯა, რომელსაც სჭირდება კვლევა და ანალიზი. ასევე პაციენტის მდგომარეობის საექთნო შეფასება, სტაციონარიდან გაწერისთვის შესაფერისობის დადგენა და სხვა
- შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ლაბორატორიულ–კვლევითი პროცედურების განხორციელება და შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევები .

- შეუძლია პაციენტისათვის/კლიენტისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის სათანადოდ მიწოდება და მასთან დარწმუნების, დამაჯერებლობის, ნუგეშისცემის და თანაგრძნობის უნარის გამოყენება

- შეუძლია საქმიანობის სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ საკომუნიკაციო წერილის მომზადება და მისი მიწოდება მიზნობრივი აუდიტორიისათვის ქართულ და უცხოურ (ინგლისური, გერმანული) ენებზე თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით
- ფლობს და იყენებს ეფექტური კომუნიკაციის მეთოდებს პაციენტისა და მის ფორმალურ და არაფორმალურ მომვლელსა და ოჯახის სხვა წევრებთან, ასევე კომუნიკაციის პრობლემებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან.
- შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია პაციენტის/კლიენტის ოჯახის წევრებთან და მომვლელებთან მათი ინფორმირების, განათლებისა და ზედამხედველობის მიზნით
- აქვს გუნდური მუშაობის, ადამიანებს შორის დიალოგის/ურთიერთქმედების და სტრესურ გარემოში მუშაობის უნარი;
- შეუძლია ინტერპერსონალური, წერილობითი, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, ასევე პრეზენტაციის უნარების დემონსტრირება;
- აქვს დაგეგმვისა და ორგანიზების უნარები: საკუთარი, სტუდენტებისა და უმცროსი პერსონალის დროის ორგანიზება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- შეუძლია სასწავლო პროცესის თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასება, თვითგანვითარება უწყვეტი სწავლების საშუალებით;
- აცნობიერებს პროფესიული ზრდისა და განვითარების მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას საკუთარ კარიერულ და პროფესიულ განვითარებაზე;
- შეუძლია თვითონ მოახდინოს სწავლების შემდგომი საფეხურის საჭიროებების დადგენა და პრიორიტეტების განსაზღვრა რეგულარულად;
- აცნობიერებს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვას

- აცნობიერებს სამედიცინო სფეროს პროფესიულ, ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს და ასრულებს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც განაპირობებს ადამიანებს შორის განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებას და პატივისცემას.
- იცავს პაციენტის/კლიენტის ღირსებას, უფლებებს, კონფიდენციალურობას და სხვა ფასეულობებს და ღირებულებებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაზე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის მეთოდები და ჩამოთვლილი მეთოდების რეალიზაციის საშუალებები :

პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

ლექცია - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით; სასწავლო კურსის ფარგლებში ტარდება ლექცია პრეზენტაციებით, ინტერაქტიურ რეჟიმში.
ლექციებიტარდებასადემონსტრაციომასალების (ატლასები, პოსტერები, ტაბულებიდაა.შ.) დათანამედროვეკომპიუტერულიტექნოლოგიებისგამოყენებით.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - საჭიროების შემთხვევაში, თეორიული მასალის დაწვრილებითი ახსნა ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვეწოდება სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

პრაქტიკული მეცადინეობა -სტუდენტის ინდივიდუალური პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, ექიმის ასისტენტობა. პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება კურაციის სახით კლინიკაში/აუდიტორიაში ,სადაც მიმდინარეობს სალექციო მასალის

ძირითადი საკვანძო თემების ჯგუფური განხილვა, გამოყენებული იქნება თვალსაჩინოებები: პლაკატები, პოსტერები, ვიდეომასალა.

პრაქტიკულიმეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება კლინიკური პრაქტიკის გზით

პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება - პაციენტის ფიზიოლოგიურიდაპათოლოგიურიმდგომარეობის დიფერენცირება, ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასება, ინდივიდუალური/სპეციალურისარეაბილიტაციო ღონისძიების შემუშავება;

შემთხვევის ანალიზი (Case Study) - სიტუაციური ამოცანების განხილვა - რთული/ატიპიური შემთხვევები, რომლებიც შეიძლება საჭიროებდეს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას დაავადების შესახებ, დიფერენციალური დიაგნოზის ჩატარებას და დიაგნოზის განსაზღვრას; მკურნალობის გეგმის განსაზღვრა და პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია, შეიძლება ჩატარდეს ჯგუფური მუშაობის სახით; ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების- ანალიზისა და სინთეზის უნარის, ჯგუფური მუშაობის, კლინიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების გამომუშავებას, სამედიცინო დისკუსიებში მონაწილეობის უნარ-ჩვევებს, სამედიცინო კონტექსტში ეფექტურ კომუნიკაციას - კოლეგებთან კომუნიკაციას.

ანალიზი და სინთეზი - კონკრეტული კლინიკური შემთხვევის ფარგლებში მონაცემების ანალიზი და სინთეზი და რელევანტური დასკვნების გაკეთება.

ქვიზი /თეორიული მასალის გამოკითხვა - შედგებათეორიული და პრაქტიკული საკითხებისგან, მოწმდება სტუდენტის თეორიული ცოდნა.

ლაბორატორიულიმეთოდი გულისხმობს შემდეგი სახისმოქმედებებს: ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენებადასხვ.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის, კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის, სტუდენტის სტუდენტთან ან/და უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაციისათვის, ტესტირებისათვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისათვის და სხვა მიზნებისათვის.

ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ

კომუნიკაციას, ხოლო სინქრონული-როდესაც მათი კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება. ელექტრონული სწავლების პროგრამა აგებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. განხილული იქნება შუალედური გამოცდის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები ასახულია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ისეთ ორ ელემენტად, როგორიცაა შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი პროცენტული წილი. შეფასების შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს (დასწრება, აქტიურობა, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ.) კომპონენტებად,

რომლებსაც აგრეთვე თავისი პროცენტული წილი აქვთ ამ ელემენტის ფარგლებში. შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შეფასება ეყრდნობა ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის (წერითი, ზეპირი) ფორმატი, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსით (სილაბუსით).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით (სილაბუსით) დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. შეფასების კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსში. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის ჯამი არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 50%-ს (რაც უდრის არანაკლებ 20 ქულისა).

სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება

და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები. სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება შეფასების ან/და გამოცდის შედეგს, უფლებამოსილია, შეფასებიდან ან/და გამოცდიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგის გადასინჯვა. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენტები და შეფასების მეთოდები დაწვრილებითაა აღწერილი სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად.

სტუდენტის მიერ საბაკალავრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვისა და შეფასების შესაძლებლობები. მასში ვლინდება სტუდენტის ცოდნის დონისა და შემოქმედებითი, კვლევითი უნარ-ჩვევების დონის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A-4 ფორმატის 30 გვერდზე ნაკლები. შრიფტი: „Sylfaen“; შრიფტის ზომა: 12; სათაურებისა და ქვესათაურების ზომა: 14; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5; გვერდის ველები (ყველა მხრიდან): 2 სმ;

ბ) ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

ბ.ა) თავფურცელი (ნაშრომის პირველი გვერდი);

ბ.ბ) ანოტაცია (არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას);

ბ.გ) შესავალი (თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ამოცანები, საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები);

ბ.დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი (დაყოფილი უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად. შეიძლება დაერთოს სქემები, ცხრილები, ნახაზები);

ბ.ე) დასკვნა (უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის შედეგებს);

ბ.ვ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (წარმოდგენილი უნდა იყოს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ გამოცემები უცხოურ ენებზე).

ბ.ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს:

ბ.ზ.ა) პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, წელი, ტომის ნომერი, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი და გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი;

ბ.ზ.ბ) წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სახელწოდება (დახრილი შრიფტით), გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა;

ბ.ზ.გ) ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ვებ-გვერდის ავტორი, მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით, ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.დ) ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, წელი, ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტით), გამოცემის ნომერი, თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში), ვებ-გვერდის მისამართი და მასალის მოძიების თარიღი;

ბ.ზ.ე) სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება, უწყების დასახელება რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და ა.შ.), დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით, ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი და გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;

ბ.ზ.ვ) ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი (მაგ.: 15, 150-161);

ბ.ზ.ზ) ნაშრომის ძირითად ნაწილში დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად გამოყენებულ უნდა იქნეს სქოლიო (მაგ.: იხ. დანართი 2).

გ) ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი, ანოტაცია, სარჩევი, შესავალი, თავები, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა და დანართი (სქოლიო).

სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას ყავს ხელმძღვანელი. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან. საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა სტუდენტს შეუძლია მხოლოდ 210 კრედიტის დაფარვის შემდეგ, სწავლის მე-8 აკადემიური სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს აკადემიური სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. საბაკალავრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ჩაბარების ვადის დასრულებამდე არაუმეტეს ორი თვით ადრე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტების) დეკანისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის სწორი მიმართულებით წარმართვის მიზნით, ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამუშაო გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ამოწმებს თემაზე სტუდენტის მუშაობის მიმდინარეობას, გამოთქვამს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს; კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტს მის კორექციაში; სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით, საბაკალავრო ნაშრომს განიხილავს (წინასწარი განხილვა) და აფასებს 60 ქულის ფარგლებში არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს წერილობით მოტივირებული უარი თქვას სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ასევე თემაზე მუშაობის პროცესშიც, მუშაობის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

საბაკალავრო ნაშრომი შეფასების საერთო სისტემაში განისაზღვრება დამოუკიდებელი პროცენტული წილით, მისი დადგენილი წესით დაცვის შედეგად მიღებული შეფასება კი აღინიშნება შესაბამისი დიპლომის სტანდარტულ დანართში.

საბაკალავრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც ნაწილდება შეფასების შემდეგ კომპონენტებზე:

ა) საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა - საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ - ფასდება 60 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა.ა) თემის სიახლე და აქტუალობა - 10 ქულა;

ა.ბ) საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია -10 ქულა;

ა.გ) საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;

ა.დ) პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა -20 ქულა;

ა.ე) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

ბ) საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა - ფასდება 40 ქულით ფაკულტეტის საბჭოს მიერ, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ბ.ა) წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობიერება -10 ქულა;

ბ.ბ) პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 15 ქულა;

ბ.გ) პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;

ბ.დ) კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხი - 10 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, საბაკალავრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით. საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

საბაკალავრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვასა და დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. ხოლო საბაკალავრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და საბაკალავრო ნაშრომი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დაიცვას დადგენილი წესით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი განსაზღვრულია უნივერსიტეტის 3 ერთეული პროფესორის, 12 ერთეული ასოცირებული პროფესორის აკადემიური პერსონალით. ასევე, 25ერთეული მოწვეული სპეციალისტის (პედაგოგის) პერსონალით რომელთაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა/უნარები, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება და სხვა, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები. იხ. დანართი

აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან (პედაგოგებთან) შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

პროგრამა ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის თანამედროვე მატერიალური-ტექნიკური რესურსებით აღჭურვილ სასწავლო ბაზაზე და უზრუნველყოფილია აუცილებელი რესურსით: თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი და სამეცნიერო ელექტრონული ბაზები), კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის რესურსები და სხვ. სხვადასხვა სტრუქტურებთან და წარმატებულ ორგანიზაციებთან დადებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და პროგრამის კომპონენტები განხორციელდება უნივერსიტეტის ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლებელს გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა: კარგად აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საბიბლიოთეკო სივრცე და წიგნადი ფონდი, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელით, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, ადმინისტრაციული ოთახები, სათათბირო და საკონფერენციო დარბაზები, სტუდენტური სივრცეები და სარეკრეაციო ზონა, კეთილმოწყობილი ეზო. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები.

პროგრამის სტრუქტურა / სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი	კოდი	ECTS	სასწავლო საქმი სასწავლო საქმიანობის მოცულობა ასტრონომიულ საათებში		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								ლექტორი	დაშვების წინაპირობა
			საკ.	დამ.	1	2	3	4	5	6	7	8		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები		**138**												
ზოგადი და სამედიცინო ქიმია	**B0913.1.1.01**	3	36	39	3								მოწვ.პედაგოგი ნანა ნადარაია	
ზოგადი და სამედიცინო ბიოლოგია	**B0913.1.1.02**	3	36	39	3								ასოც.პროფესორი ქეთევან შალაშვილი	
სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა	**B0913.1.1.03**	3	36	39	3								მოწვ.პედაგოგი ხათუნა ჩიქვინიძე	
მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია-იმუნოლოგია 1	**B0913.1.1.04**	3	36	39		3							მოწვ.პედაგოგი დარეჯან ჩიკვილაძე	
მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია-იმუნოლოგია2	**B0913.1.1.05**	3	36	39			3						მოწვ.პედაგოგი დარეჯან ჩიკვილაძე	**B0913.1.1.04**
ფარმაკოლოგია 1	**B0913.1.1.06**	3	36	39			3						მოწვეული პედაგოგი ნადეჟდა მუშკიაშვილი	

ფარმაკოლოგია 2	**B0913.1.1.07**	3	36	39				3					მოწვეული პედაგოგი ნადეჟდა მუშკიაშვილი	**B0913.1.1.06**
კლინიკური ფარმაკოლოგია	**B0913.1.1.08**	3	36	39					3				მოწვეული პედაგოგი ნადეჟდა მუშკიაშვილი	**B0913.1.1.07**
ადამიანის ანატომია 1	**B0913.1.1.09**	3	36	39	3								მოწვ.პედაგოგი გრიგოლ სულაბერიძე	
ადამიანის ანატომია 2	**B0913.1.1.10**	3	36	39		3							მოწვ.პედაგოგი გრიგოლ სულაბერიძე	**B0913.1.1.09**
ადამიანის ფიზიოლოგია1	**B0913.1.1.11**	3	36	39	3								მოწვ.პედაგოგი დავით ჩხობაძე	
ადამიანის ფიზიოლოგია2	**B0913.1.1.12**	3	36	39		3							მოწვ.პედაგოგი დავით ჩხობაძე	**B0913.1.1.11**
ზოგადი ქირურგია	**B0913.1.1.13**	3	36	39			3						პროფესორი გიორგი წილოსანი	
კერძო ქირურგია	**B0913.1.1.14**	3	36	39				3					პროფესორი გიორგი წილოსანი	**B0913.1.1.13**
ინფექციური სნეულებანი	**B0913.1.1.15**	3	36	39				3					მოწვეული პედაგოგი თამარ მეგრელიშვილი	
პათოლოგია	**B0913.1.1.16**	3	36	39			3						მოწვეული პედაგოგი დინარა კასრაძე	
თერაპია მედ დებისთვის 1	**B0913.1.1.17**	3	36	39					3				ასოც.პროფესორი ლალი კოკაია	**B0913.1.1.29**
თერაპია მედ დებისთვის 2	**B0913.1.1.18**	3	36	39						3			ასოც.პროფესორი ლალი კოკაია	**B0913.1.1.17**

პრევენციული მედიცინა	**B0913.1.1.19**	**3**	36	39		3							ასოც.პროფესორი თამაზ გელოვანი	
სამედიცინო ბიოქიმია 1	**B0913.1.1.20**	3	36	39		3							ასოც.პროფესორი ქეთევან შალაშვილი	
სამედიცინო ბიოქიმია 2	**B0913.1.1.21**	3	36	39			3						ასოც.პროფესორი ქეთევან შალაშვილი	**B0913.1.1.20**
თერაპია	**B0913.1.1.22**	3	36	39					3				ასოც.პროფესორი ლალი კოკაია	**B0913.1.1.29**
ნევროლოგია	**B0913.1.1.23**	3	30	45							3		ასოც.პროფესორი გიორგი ჩახავა	
პედიატრია	**B0913.1.1.24**	3	36	39						3			ასოც.პროფესორი ხათუნა მელია	
მეანობა	**B0913.1.1.25**	3	36	39							3		ასოც.პროფესორი აკაკი ბაქრაძე	**B0913.1.1.26**
გინეკოლოგია, რეპროდუქტო ლოგია	**B0913.1.1.26**	3	30	45					3				ასოც.პროფესორი აკაკი ბაქრაძე	**B0913.1.1.29**
ოტორინოლარინგ ოლოგია	**B0913.1.1.27**	3	30	45							3		მოწვეული პედაგოგი ნატო ნაკუდაშვილი	
შინ. დაავად. პროპედევტიკა-1	**B0913.1.1.28**	3	36	39			3						ასოც.პროფესორი ლალი კოკაია	
შინ. დაავად. პროპედევტიკა-2	**B0913.1.1.29**	3	36	39				3					ასოც.პროფესორი ლალი კოკაია	**B0913.1.1.28**
ჰიგიენის საფუძვლები	**B0913.1.1.30**	3	36	39				3					ასოც.პროფესორი თამაზ გელოვანი	**B0913.1.1.05**
რენტგენოლოგია, რადიოლოგია 1	**B0913.1.1.31**	3	36	39					3				ასოც.პროფესორი ხათუნა მელია	

რენტგენოლოგია, რადიოლოგია 2	**B0913.1.1.32**	3	36	39						3			ასოც.პროფესორი ხათუნა მელია	**B0913.1.1.31**
ენდოკრინოლოგია, მეტაბოლიზმი	**B0913.1.1.33**	3	30	45						3			ასოც.პროფესორი ნანა გუმბარიძე	
ტრავმატოლოგია, ორთოპედია	**B0913.1.1.34**	3	30	45						3			მოწვეული პედაგოგი რამაზ აღლემაშვილი	**B0913.1.1.14**
ანესთეზიოლოგია, რეანიმატოლოგია და კრიტიკული მედიცინა1	**B0913.1.1.35**	3	36	39						3			პროფესორი გიორგი წილოსანი	
ანესთეზიოლოგია, რეანიმატოლოგია და კრიტიკული მედიცინა 2	**B0913.1.1.36**	3	36	39							3		პროფესორი გიორგი წილოსანი	**B0913.1.1.35**
ფსიქიატრია	**B0913.1.1.37**	3	36	39								3	მოწვეული პედაგოგი მარინე კურატაშვილი	
ავადმყოფის მოვლა 1	**B0913.1.1.38**	3	36	39	3								მოწვეული პედაგოგები ნინო ღლონტი ლელა გრიგოლია	**B0913.1.1.38**
ავადმყოფის მოვლა 2	**B0913.1.1.39**	3	36	39		3							მოწვეული პედაგოგები ნინო ღლონტი ლელა გრიგოლია	**B0913.1.1.38**
ქირურგია მედ დებისათვის 1	**B0913.1.1.40**	3	36	39					3				პროფესორი გიორგი წილოსანი	
ქირურგია მედდებისათვის 2	**B0913.1.1.41**	3	36	39						3			პროფესორი გიორგი წილოსანი	**B0913.1.1.40**
ფიზითერაპია, კურორტოლოგია	**B0913.1.1.43**	**3**	30	45							3		მოწვეული პედაგოგი ნანა კინწურაშვი;ლი	**B0913.1.1.22**

კანისა და ვენერიული დაავადებები	**B0913.1.1.44**	3	30	45							3		მოწვეული პედაგოგი მანანა თევზაძე	**B0913.1.1.18**
მედდის საქმე და ავად. მოვლის თეორია 1	**B0913.1.1.45**	3	36	39			3						მოწვეული პედაგოგები ნინო ღლონტი ლელა გრიგოლია	**B0913.1.1.39**
მედდის საქმე და ავად. მოვლის თეორია 2	**B0913.1.1.46**	3	36	39				3					მოწვეული პედაგოგები ნინო ღლონტი ლელა გრიგოლია	**B0913.1.1.45**
მედდის საქმე და ავად. მოვლის თეორია 3	**B0913.1.1.47**	3	36	39					3				მოწვეული პედაგოგები ნინო ღლონტი ლელა გრიგოლია	**B0913.1.1.46**
მედდის საქმე და ავად. მოვლის თეორია 4	**B0913.1.1.48**	3	36	39						3			მოწვეული პედაგოგები ნინო ღლონტი ლელა გრიგოლია	**B0913.1.1.47**
სასწავლო პრაქტიკა 1	**B0913.1.1.49**	**12**	**62**	**238**							**12**		ასოცირებული პროფესორი აკაკი ბაქრაძე	**B0913.1.1.25** **B0913.1.1.26**
სასწავლო პრაქტიკა 2	**B0913.1.1.50**	**12**	**62**	**238**								**12**	პროფესორი გიორგი წილოსანი	**B0913.1.1.41** **B0913.1.1.35**
ბ) არჩევითი დისციპლინები		**24**												
შეზღუდულ შესაძლებლობების	**B0913.1.1.001**	3	36	39				3					ასოც.პროფესორი ლანა სულხანიშვილი	დაშვების წინა პირობის გარეშე

მქონე პირთა ფსიქოლოგია														
ტრადიციული მედიცინის საფუძვლები	**B0913.1.1.002**	**3**	36	39					3				მოწვეული პედაგოგი მარინე ბენიძე	დაშვების წინა პირობის გარეშე
ფიტოთერაპია	**B0913.1.1.003**	3	36	39						3			მოწვეული პედაგოგი მარინე ბენიძე	დაშვების წინა პირობის გარეშე
გერიატრია/გერონ ტოლოგია	**B0913.1.1.004**	3	36	39								3	მოწვეული პედაგოგი ნინო დიდბერიძე	დაშვების წინა პირობის გარეშე
ინკლუზიური განათლების მეთოდიკა	**B0913.1.1.005**	3	36	39			3						მოწვეული პედაგოგი ხათუნა კობახიძე	დაშვების წინა პირობის გარეშე
მედიცინის ისტორია	**B0913.1.1.006**	3	36	39	3								მოწვეული პედაგოგი ირინე ბიბილეიშვილი	დაშვების წინა პირობის გარეშე
აღმოსავლური მედიცინა	**B0913.1.1.007**	3	36	39				3					მოწვეული პედაგოგი მარინე ბენიძე	დაშვების წინა პირობის გარეშე
ლათინური ენა,სამედიცინო ტერმინოლოგია	**B0913.1.1.008**	3	36	39	3								მოწვეული პედაგოგი ნინო წერეთელი	დაშვების წინა პირობის გარეშე
სამედიცინო ფსიქოლოგია	**B0913.1.1.009**	3	36	39		3							ასოც.პროფესორი ლანა სულხანიშვილი	დაშვების წინა პირობის გარეშე
საოჯახო მედიცინა	**B0913.1.1.010**	3	36	39					3				ასოც.პროფესორი მარინე ბზიშვილი	დაშვების წინა პირობის გარეშე

ტოქსიკოლოგია	**B0913.1.1.011**	3	30	45						3			მოწვეული პედაგოგი მანანა ჟურული	დაშვების წინა პირობის გარეშე
დიეტოლოგია	**B0913.1.1.012**	3	30	45								3	ასოც.პროფესორი ნანა გუმბარიძე	დაშვების წინა პირობის გარეშე
ეკოლოგია	**B0913.1.1.013**	**3**	36	39							3		ასოც.პროფესორი ირმა ცხოვრებაძე	დაშვების წინა პირობის გარეშე
ნუტრიციოლოგია	**B0913.1.1.014**	3	30	45			3						ასოც.პროფესორი ცისანა სიფრაშვილი	დაშვების წინა პირობის გარეშე
სამედიცინო გენეტიკა	**B0913.1.1.015**	3	36	39		3							ასოც.პროფესორი ქეთევან შალაშვილი	დაშვების წინა პირობის გარეშე
შინმოვლა	**B0913.1.1.016**	3	36	39							3		მოწვეული პედაგოგი ნინო დიდბერიძე	დაშვების წინა პირობის გარეშე

ზოგადი ან თავისუფალი კომპონენტები, კვლევა: **ა) სავალდებულო დისციპლინები**		**54** **27**												
აკადემიური წერა	B0101	4	36	64				4					მოწვეული პედაგოგი ბელა სარია	
უცხო ენა1 (ინგლისური)	B0102	4	36	64	4								მოწვეული პედაგოგი ირინე მენაბდე	
უცხო ენა 2 (ინგლისური)	B0103	4	36	64		4							მოწვეული პედაგოგი ირინე მენაბდე	B0102
უცხო ენა 3 (ინგლისური)	B0104	4	36	64			4						მოწვეული პედაგოგი ირინე მენაბდე	B0103
საინფორმაციო ტექნოლოგიები	B0105	3	36	39	3								ასოც.პროფესორი ნანა გუმბარიძე	
ბიოეთიკა 1	B0106	4	36	64					4				პროფესორი არქიმანდრიტი ადამი	
ბიოეთიკა 2	B0107	4	36	64						4			პროფესორი არქიმანდრიტი ადამი	B0106
ბ)არჩევითი დისციპლინები		15												
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის	B0108	3	36	39	3								მოწვეული პედაგოგი ბელა სარია	

ნორმალიზაციის საკითხები														
ლიტერატურის სახისმეტყველებითი ანალიზი	B0109	3	36	39				3					მოწვეული პედაგოგი ბელა სარია	
ძველი აღთქმა	B011	3	36	39			3						დეკანოზი იაკობი (უშიკიშვილი)	
ახალი აღთქმა	B0111	3	36	39				3					დეკანოზი იაკობი (უშიკიშვილი)	
ქრისტიანული მოძღვრების შესავალი	B0112	3	36	39		3							დეკანოზი იაკობი (უშიკიშვილი)	
საქართველოს ისტორია და კულტურა 1	B0113	3	36	39	3								ასოც.პროფესორი ზაზა წურწუმია	
საქართველოს ისტორია და კულტურა 2	B0114	3	36	39		3							ასოც.პროფესორი ზაზა წურწუმია	B0113
ანთროპოლოგია	B0115	3	36	39					3				პროფესორი არქიმანდრიტი ადამი	
მეტყველების კულტურა	B0116	3	36	39			3						მოწვეული პედაგოგი ბელა სარია	

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია	B0117	3	36	39					3				ასოც.პროფესორი ლანა სულხანიშვილი	
საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა		**14**	70	280								**14**		
სულ		**242**			**28**	**28**	**31**	**28**	**31**	**31**	**33**	**32**	**242**	